ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1473279

ნომერი: AR1249875

თარიღი : 10.09.2014

გაცემის თარიღი : 11.09.2014

გაცნობის თარიღი : 16.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ წვერიკმაზაშვილი პ/ნ 01008001253
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 10 ბ. 105

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 10 სექტემბერის #AR1249875 განცხადება, რომლითაც ითხოვთ #358833 24.09.2012 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას გაცნობებთ, რომ #01.12.04.001.145 საკადასტრო ერთეული გამოიყო მიწის ნაკვეთიდან საკადასტრო კოდით 01.12.04.001.081 რომელზეც სამსახურის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გაიცა #358833 24.09.2012 გადაწყვეტილება – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, თავისთავად უკვე ზემოხსებებული საკადასტრო ერთეული გამოიყო #01.12.04.001.054 მიწის ნაკვეთიდან, ტერიტორია ჩამოიჭრა არსებული შენობის კონტურზე, რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი, გამომდინარე იქიდან, რომ მიწის ნაკვეთის ფართობი იყო დიდი სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე. დღევანდელი მდგომარეობით ნაკვეთი ისევ გაიმიჯნა; გამომდინარე ზემოთქმულიდან საკითხის განსახილველად სამსახურს დამატებით უნდა წარმოუდგინოთ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მთელი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო განვითარების კონცეფცია, რის შემდეგომაც სამსახური მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 10 სექტემბერს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 2 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 10 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.